ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 348

"1" ნოემბერი 2016 წ.

ქ.თბილისი

ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №47-ის მიმდებარედ არსებული 1108 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.03.030.005) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ბიბლუსისთვის" (ს/კ: 205254892) გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №47-ის მიმდებარედ არსებული 1108 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.03.030.005) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ბიბლუსისთვის" (ს/კ:№205254892) გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 12 ოქტომბრის №39.19.852 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი №47-ის მიმდებარედ არსებული 1108 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.03.030.005) 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბიბლუსისთვის" (ს/კ:205254892) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 300 (ათას სამასი) ლარის ოდენობით.

3. იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2026 წლის 19 იანვრამდე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი